



საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი

2015 -2018 წლებისთვის

ნოემბერი, 2014 წელი

მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი

მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზის ჩატარების მთავარი მიზანია, შეფასდეს მთავრობის შესაძლებლობა მოემსახუროს ვალდებულებებს საშუალო და გრძელვადიან პერიოდში.

მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი მოიცავს სხვადასხვა შესაძლო რისკ ფაქტორების შეფასებას და მათ გავლენას მთავრობის ვალის პორტფელზე, ეხმარება მთავრობას წინსწრებით მოახდინოს შესაძლებელი ნეგატიური ფაქტორებიდან გამოწვეული შედეგების იდენტიფიცირება და შეიმუშაოს შესაბამისი სამოქმედო გეგმა.

მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზში გამოყენებულია საბაზისო და ალტერნატიული (ნეგატიური) სცენარები და ამ სცენარებისთვის დაშვებები სხვადასხვა მაკროეკონომიკურ და ფისკალურ ცვლადებზე - რეალური მშპ-ს ზრდა, ინფლაცია, გაცვლითი კურსი, საპროცენტო განაკვეთები, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი და სხვა.


მოცემულ ანალიზში, საბაზისო სცენარი წარმოადგენს, ეკონომიკური განვითარების იმ მოსალოდნელ ვარიანტს, რომლის მოხდენის ალბათობაც საშუალოვადიან პერიოდში ყველაზე მაღალია. შესაბამისად, აღნიშნული სცენარის საფუძველზე ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენა.

ალტერნატიულ სცენარებში, ხდება სხვადასხვა სიდიდის მაკროეკონომიკური და ფისკალური შოკების (რეალური მშპ-ს ზრდის შოკი, რეალური საპროცენტო განაკვეთის შოკი, სახელმწიფო ბიუჯეტის პირველადი ბალანსის შოკი, და ნომინალური გაცვლითი კურსის შოკი) გათვალისწინებით სტრეს ტესტების ჩატარება და მათი გავლენის შეფასება მთავრობის ვალის მდგრადობაზე.


მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი მომზადებულია რეალური მშპ-ს ზრდის და რეალური საპროცენტო განაკვეთის პერმანენტული შოკების, ხოლო პირველადი დეფიციტის და ნომინალური გაცვლითი კურსის შემთხვევაში ერთჯერადი შოკების საფუძველზე. მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზის შეფასებისას გამოყენებული შოკების შედეგები (იხ. დიაგრამები) იძლევა დამაკმაყოფილებელ სურათს. ოთხივე სცენარის მიხედვით, მთავრობის ვალი მშპ-თან მიმართებაში იზრდება, მაგრამ სტაბილურად ინარჩუნებს კლებად ტენდენციას. აღსანიშნავია, რომ არცერთი სცენარის შემთხვევაში მთავრობის ვალი, მშპ-თან მიმართებაში, არ აღწევს კრიტიკულ ზღვარს.

მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზის დიაგრამები (მთავრობის ვალი %-ად მშპ-თან)


საბაზისო სცენარი და რეალური მშპ-ს ზრდის შოკის სცენარი




საბაზისო სცენარი და რეალური საპროცენტო განაკვეთის შოკის სცენარი



საბაზისო სცენარი და ნომინალური გაცვლითი კურსის შოკის სცენარი



საბაზისო სცენარი და პირველადი დეფიციტის შოკის სცენარი



მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი, 2015-2018
(პროცენტულად მშპ-თან, თუ სხვა არა არის მითითებული)

	ფაქტი										პროგნოზი			
	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
	საბაზისო სცენარი													
1 მთავრობის ვალი1/	40.0	32.0	25.5	31.2	41.1	42.5	36.6	34.9	34.7	36.4	37.1	36.5	35.4	34.3
მათ შორის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული	26.8	21.1	16.8	23.5	31.7	33.6	28.8	27.6	27.2	27.6	27.2	26.8	26.1	25.3
2 ცვლილება მთავრობის ვალში	-10.5	-7.9	-6.5	5.6	9.9	1.4	-5.9	-1.7	-0.2	1.8	0.7	-0.6	-1.1	-1.1
3 ვალის ზრდის იდენტიფიცირებული კომპონენტები (4+7+12)	-10.0	-7.3	-7.0	0.7	9.8	2.6	-5.4	-0.8	0.2	2.2	0.6	-0.7	-0.9	-1.1
4 პირველადი დეფიციტი	1.6	2.6	4.2	5.9	7.2	5.7	2.4	1.8	1.7	2.6	1.9	1.7	1.6	1.0
5 მთლიანი შემოსავლები და გრანტები	24.2	26.8	29.3	30.7	29.3	28.3	28.2	28.9	27.7	27.1	27.5	27.1	26.8	26.7
6 მთლიანი დანახარჯები (საპროცენტო ხარჯის გარეშე)	25.8	29.4	33.5	36.6	36.4	34.0	30.7	30.7	29.3	29.8	29.4	28.8	28.4	27.7
7 ვალის ავტომატური დინამიკა 2/	-8.4	-6.0	-6.5	-3.8	5.9	-2.6	-6.7	-2.2	0.2	-0.4	-1.2	-2.2	-2.1	-2.0
8 რეალური საპროცენტო განაკვეთის/რეალური მშპ-ს ზრდის კონტრიბუცია 3/	-6.7	-5.5	-5.5	-2.1	2.8	-4.5	-5.1	-1.6	0.0	-1.7	-1.9	-2.2	-2.1	-2.0
9 რეალური საპროცენტო განაკვეთის კონტრიბუცია	-2.7	-2.4	-2.2	-1.6	1.5	-2.3	-2.5	0.5	1.1	-0.1	-0.3	-0.3	-0.2	-0.2
10 რეალური მშპ-ს ზრდის კონტრიბუცია	-4.1	-3.2	-3.2	-0.5	1.2	-2.2	-2.6	-2.2	-1.1	-1.6	-1.7	-1.9	-1.8	-1.8
11 გაცვლითი კურსის გაუფასურების კონტრიბუცია 4/	-1.6	-0.5	-1.0	-1.7	3.1	1.9	-1.6	-0.6	0.2	1.3	0.7	0.0	0.0	0.0
მნიშვნელი = 1+g+p+gp	1.2	1.2	1.2	1.1	0.9	1.2	1.2	1.1	1.0	1.1	1.1	1.1	1.1	1.1
12 ვალის ზრდის სხვა იდენტიფიცირებული კომპონენტები	-3.2	-4.0	-4.7	-1.4	-3.3	-0.5	-1.2	-0.5	-1.7	0.0	-0.1	-0.2	-0.5	0.0
13 პრივატიზაცია (მინუს ნიშნით) და სხვა რესურსების გამოყენება	-3.2	-4.0	-4.7	-1.4	-3.3	-0.5	-1.2	-0.5	-1.7	0.0	-0.1	-0.2	-0.5	0.0
14 პირობითი ვალდებულებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
15 სხვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
16 განსხვავება (2-3)	-0.5	-0.6	0.5	4.9	0.2	-1.1	-0.5	-0.9	-0.3	-0.4	0.0	0.0	0.0	0.0
სცენარი 1. რეალური საპროცენტო განაკვეთის შოკი	40.0	32.0	25.5	31.2	41.1	42.5	36.6	34.9	34.7	36.4	37.6	37.6	37.3	36.9
სცენარი 2. რეალური მშპ-ს ზრდის შოკი	40.0	32.0	25.5	31.2	41.1	42.5	36.6	34.9	34.7	36.4	38.1	38.6	38.6	38.6
სცენარი 3. პირველადი დეფიციტის შოკი	40.0	32.0	25.5	31.2	41.1	42.5	36.6	34.9	34.7	36.4	38.8	38.1	36.9	35.7
სცენარი 4. ნომინალური გაცვლითი კურსის შოკი	40.0	32.0	25.5	31.2	41.1	42.5	36.6	34.9	34.7	36.4	40.9	40.1	38.7	37.4
ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური დაშვებები														
რეალური მშპ-ს ზრდა (%)	9.6	9.4	12.3	2.3	-3.8	6.3	7.2	6.4	3.3	5.0	5.0	5.5	5.5	5.5
საშუალო ნომინალური საპროცენტო განაკვეთი მთავრობის ვალზე (%) 5/	2.5	2.2	2.3	3.0	2.7	2.7	3.4	2.9	2.6	3.2	3.4	3.2	3.0	3.0
საშუალო ნომინალური საპროცენტო განაკვეთი მთავრობის საგარეო ვალზე (%) 5/	1.2	1.2	1.4	2.5	2.2	2.2	2.7	1.9	1.8	2.5	1.8	1.8	1.7	1.6
საშუალო რეალური საპროცენტო განაკვეთი მთავრობის ვალზე (საშუალო ნომინალურ საპროცენტო განაკვეთს გამოკლებული მშპ დეფლატორი, %)	-5.1	-5.8	-6.8	-6.2	4.8	-5.4	-5.6	1.6	3.3	-0.3	-0.6	-0.8	-0.5	-0.5
გაცვლითი კურსი (ლარი ერთ აშშ დოლარში)	1.8	1.8	1.7	1.5	1.7	1.8	1.7	1.7	1.7	1.8	1.8	1.8	1.8	1.8
ლარის ნომინალური გაუფასურება (ლარი ერთ აშშ დოლარში)	-5.4	-2.0	-6.0	-10.8	12.1	6.7	-5.4	-2.1	0.7	5.2	2.9	0.0	0.0	0.0
გაცვლითი კურსი (აშშ დოლარი ერთ ლარში)	0.6	0.6	0.6	0.7	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6
ლარის ნომინალური გამყარება (აშშ დოლარი ერთ ლარში)	5.8	2.0	6.3	12.1	-10.8	-6.3	5.7	2.1	-0.7	-4.9	-2.8	0.0	0.0	0.0
ინფლაცია (მშპ დეფლატორი, %)	7.9	8.5	9.7	9.7	-2.0	8.5	9.5	1.2	-0.7	3.5	4.0	4.0	3.5	3.5
რეალური პირველადი დანახარჯების ზრდა (დეფლირებული მშპ-ს დეფლატორით, %)	28.9	24.8	28.0	11.8	-4.2	-1.0	-3.2	6.4	-1.4	6.5	3.8	3.2	4.2	2.6
პირველადი დეფიციტი	1.6	2.6	4.2	5.9	7.2	5.7	2.4	1.8	1.7	2.6	1.9	1.7	1.6	1.0

1/ მოიცავს ეროვნული ბანკის ვალს

2/ მიღებულია, როგორც $[(r - p(1+g)) - g + ae(1+r)] / (1+g+p+gp)$ - ჯერ გასული პერიოდის ვალის თანაფარდობა ნომინალურ მშპ-თან,

სადაც r = რეალური საპროცენტო განაკვეთი; p = მშპ-ს დეფლატორის ზრდის განაკვეთი; g = რეალური მშპ-ს ზრდა; a = უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მთავრობის ვალის წილი მთლიან მთავრობის ვალში; და e = ნომინალური გაცვლითი კურსის გაუფასურებას (დათვლილია როგორც ლარის ღირებულების ზრდა აშშ დოლართან მიმართებაში)

3/ რეალური საპროცენტო განაკვეთის წვლილი მიღებულია მე-2-ე სქოლიოდან, როგორც $r - \pi(1+g)$ და რეალური ზრდის წვლილი მიღებულია როგორც -g.

4/ გაცვლითი კურსის კონტრიბუცია მიღებულია ასევე მე-2-ე სქოლიოდან, როგორც $ae(1+r)$.

5/ მიღებულია მთავრობის ვალის ნომინალური საპროცენტო ხარჯის გაყოფით გასული პერიოდის ვალის ნაშთზე

მთავრობის ვალის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები (%-ად მშპ-თან), საბაზისო სცენარი

